სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპ"-ს, სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხორშის მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩნია ლიცენზია (№10001744) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე (ჯამში 153 900 $მ^3$ მდინარის ქვიშა-ხრეში, ფართობი 51 360 $მ^2$). კომპანია გეგმავს, რომ ლიცენზიის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფ. საჯიჯაოს ტერიტორიაზე განათავსოს მოპოვებული წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი. დანადგარზე მოხდება მდინარის ქვიშა-ხრეშის გადამუშავება და მისგან ქვიშისა და ღორღის სხვადასხვა ფრაქციის მიღება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია

პატივისცემით,

შპს „ჯორჯიან ენერჯი გრუპ"-ის დირექტორი

ზურაბ ბიგვავა

ზ. ბიგვავა

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"20" 07 2022
№ 3379